

**პროგრამის სახელწოდება:** გერმანული ფილოლოგია (German Philology)

სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ორ სასპეციალიზაციო მოდულს:

- 1) გერმანული ენათმეცნიერება
- 2) გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა

მაგისტრანტი მისაღები გამოცდის ჩაბარებისთანავე ირჩევს მოდულს. პროგრამის სამუშაო ენა არის გერმანული.

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ფილოლოგიის მაგისტრი MA in Philology

**სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი:**

სრული პროფესორი ლალი ქეცბა- ხუნდაძე

**მოდულის ხელმძღვანელები:**

გერმანული ენათმეცნიერება - სრული პროფესორი ლალი ქეცბა-ხუნდაძე.

გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა -

სრული პროფესორი დოქტ. დალი ფანჯიკიძე

**პროგრამის ანალოგი:**

პროგრამის ანალოგი მსოფლიოს მრავალ უნივერსიტეტშია. მაგალითისათვის იხილეთ:

დიუსელდორფის ჰაინრიხ ჰაინეს სახელობის უნივერსიტეტი გერმანისტიკის ინსტიტუტი:

<http://www.phil-fak.uni-duesseldorf.de/germ1/materialien/master-germanistik-studienordnung.pdf>

ბონის უნივერსიტეტი, გერმანისტიკა:

[http://www.unibonn.de/Studium/Studiengaenge\\_und\\_Abschluesse/Studienordnungen/bilder/Germanistik\\_MA.pdf](http://www.unibonn.de/Studium/Studiengaenge_und_Abschluesse/Studienordnungen/bilder/Germanistik_MA.pdf)

ბრემენის უნივერსიტეტის გერმანისტიკის ინსტიტუტი:

<http://www.uni-bremen.de/veranstaltungen/veranstaltungsausgabe?pi - sg-id=285>

დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტის გერმანისტიკის/ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი: (<http://rcswww.urz.tu-dresden.de/>)

ზაარლანდის უნივერსიტეტის გერმანისტიკის კათედრა:

<http://www.uni-saarland.de/fak.4/fr41/sandig/pruefungsvoraussetzung.htm>

[http://www.uni-saarland.de/studium/bologna/bama/index\\_html?basetyt=druckvers...](http://www.uni-saarland.de/studium/bologna/bama/index_html?basetyt=druckvers...)

თიუბინგენის ებერჰარდ კარლის უნივერსიტეტი: გერმანისტული სემინარი

<http://www.uni-tuebingen.de/Deutsches-Seminar/abteilungen/index.html>

ძველი გერმანული ენა და ლიტერატურათმცოდნეობა/მედიევისტიკა

<http://www.uni-tuebingen.de/mediaevistik/>

ახალი გერმანული ლიტერატურა:

<http://www.uni-tuebingen.de/Deutsches-Seminar/abteilungen/ndl.html>

უახლესი გერმანული ლიტერატურის ვებგვერდები:

[www.uni-](http://www.uni-erfurt.de/kommunikationswissenschaft/lehrveranstaltungen/Lehrveranstaltungen%2055%2020001/Theorien)

[erfurt.de/kommunikationswissenschaft/lehrveranstaltungen/Lehrveranstaltungen%2055%2020001/Theorien](http://www.uni-erfurt.de/kommunikationswissenschaft/lehrveranstaltungen/Lehrveranstaltungen%2055%2020001/Theorien)

[Methoden%20II.htm](http://www.littvet.su.se/littlist/Pkteorimetod.html)

[www.littvet.su.se/littlist/Pkteorimetod.html](http://www.littvet.su.se/littlist/Pkteorimetod.html)

[www.littvet.su.se/fdj litt.html](http://www.littvet.su.se/fdj litt.html)

[www.uni-duisburg-essen.de/fet/fue/germ/fb01\\_02\\_15.thm](http://www.uni-duisburg-essen.de/fet/fue/germ/fb01_02_15.thm)

იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტი:

[http://www.supreme.coling.uni-jene.de/ig-wiki/index.php/Prof.\\_Dr.\\_Schwarz-Friesel](http://www.supreme.coling.uni-jene.de/ig-wiki/index.php/Prof._Dr._Schwarz-Friesel)

კიოლნის უნივერსიტეტი: (<http://uk-online.uni-koeln.de/cgi-bin/show.pl>)

ჰამბურგის უნივერსიტეტის გერმანისტიკის ინსტიტუტი:

ძველი გერმანული ენა და ლიტერატურა

<http://www.sign-lang.uni-hamburg.de/fb07/GermS/welcome.html>

ახალი გერმანული ლიტერატურა

<http://www.sign-lang.uni-hamburg.de/fb07/LitS/LitSWelcome.html>

ვენის უნივერსიტეტი, გერმანისტიკის ინსტიტუტი:

[http://public.univie.ac.at/fileadmin/user\\_upload/senat/Curricula\\_Entw\\_rfe/April\\_2008/MA\\_Germanistik\\_13.03\\_2008.pdf](http://public.univie.ac.at/fileadmin/user_upload/senat/Curricula_Entw_rfe/April_2008/MA_Germanistik_13.03_2008.pdf)

ზალცბურგის უნივერსიტეტის გერმანისტიკის ინსტიტუტი:

<http://www.sbg.ac.at/ger/inhalt/studplanbakkmag.htm>

ბაზელის უნივერსიტეტის გერმანისტიკის ინსტიტუტი:

<http://www.germa.unibas.ch/linguistik/hefer>

### **სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:**

**ა) პროგრამის მიზანი:** უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სასწავლო პროგრამა “გერმანული ფილოლოგია” წარმოდგენილია ორი მოდულით – გერმანული ენათმეცნიერება და გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა, რომელიც მიზნად ისახავს:

- დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციების შეძენას გერმანული ფილოლოგიის ფარგლებში და მეთოდოლოგიურად შემდგომი საფუძვლის შექმნას უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე სწავლის (დოქტორანტურა) გასაგრძელებლად.
- მეცნიერული კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების გაღრმავებას გერმანული ენისა და ლიტერატურის ძირითადი ობიექტის – ტექსტის სხვადასხვაგვარი ფორმების, ფუნქციებისა და მედიალური რეპრეზენტაციების ანალიზისა და ინტერპრეტაციების გზით.
- ენობრივი კომპეტენციის გაღრმავებასა და სრულყოფას; იგი უნდა შეესაბამებოდეს ევროკომისიის მიერ შემუშავებული “საერთოევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს” სკალირების შესაბამის C<sup>1</sup>-დონეს მაგისტრატურის სრული კურსის გავლის შემდგომ;
- წარმოდგენილი მოდულების ფარგლებში: სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის ლიტერატურის ტექსტების გაცნობას, ტექსტის სახეობათა ლინგვისტური ანალიზის შერჩევით;
- ტექსტის წარმოქმნისა და გაგების პროცესის წვდომას;
- მაგისტრანტს შესძინოს: მეცნიერული თეორიების ანალიზის, კრიტიკული შეფასებისა და პოლემიკის ფორმატში კონსტრუქციული და დასაბუთებული დასკვნების გამოტანის, დამოუკიდებლად მეცნიერული მუშაობისა და კვლევის, ემპირიული მასალისა და კრიტიკული ლიტერატურის დამოუკიდებელი მოძიების უნარ-ჩვევები;
- სასწავლო და კვლევითი პროცესების ინტეგრირებას;
- ზოგადი და ტრანსფერული უნარების განვითარებას სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიისა და ყველა შესაძლო სოციალური სწავლებისა და კვლევის ფორმაზე დაყრდნობით, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში კურსდამთავრებულის უკეთ ინტეგრაციას საზოგადოებაში და მის წარმატებულ დასაქმებას.
- აღნიშნული ორი მოდულიდან მაგისტრანტი არჩევანს აჩერებს ერთ-ერთზე, თუმც არჩევითი საგნების ფორმატში მას შეუძლია საკუთარი ფილოლოგიური კომპეტენციების გაღრმავება პარალელური მოდულის არჩევითი საგნების შესწავლის საფუძველზე.

### **ბ) სწავლის შედეგები:**

საბაკალავრო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შესაბამისი მიმართულებებით:

- საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს მოთხოვნათა შესაბამისად პრაქტიკული ენის ცოდნის გაღრმავება ზოგადი კომპეტენციების მიხედვით და ევროკომისიის მიერ შემუშავებული „საერთოევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს“ სკალირების პრინციპის შესაბამისად;

- ფართო და დეტალური ცოდნის მიღება, გერმანული ფილოლოგიის ერთ-ერთ მოდულში, განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომებითა და შერჩეულ მოდულთან დაკავშირებული ფილოლოგიური უნარ-ჩვევებით;

მოდულის „გერმანული ენათმეცნიერება“ ფარგლებში მაგისტრანტი:

- იღებს დარგობრივ ცოდნას გერმანულ ენათმეცნიერებაში სინქრონულ პერსპექტივაში (სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი მოდული გულისხმობს: ლინგვისტიკის ცალკეული დარგების თეორიული საფუძვლებისა და კვლევათა მეთოდოლოგიური თავისებურების გაცნობას, მათ შორისაა: ფონოლოგია, სემიოტიკა, სემანტიკა, ლინგვისტური პრაგმატიკა, დარგობრივი ტექსტის ლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა);
- ეუფლება ცალკეულ ლინგვისტურ დისციპლინათა პრობლემატიკას;
- ეუფლება ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდებს (ტექსტის სტილისტიკა, ტექსტის ლინგვისტური ანალიზი);
- სწავლობს ლინგვისტური წარსულის ზოგად დიაქრონულ სქემას და თანამდროვე ლინგვისტური დებატების საკითხებსა და თემატიკას (გერმანულ ენის ლინგვისტიკა).
- სწავლობს ლინგვისტური კვლევის ტექნიკებს: ემპირიული მასალის მოძიებას, მეთოდურ დალაგებას და ანალიზს (ტექსტის ლინგვისტური ანალიზი, ტერმინოლოგია და დარგობრივი ტექსტის ლინგვისტიკა, კომპიუტერული ლინგვისტიკა);

მოდულის „გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა“ ფარგლებში მაგისტრანტი:

- იღებს დარგობრივ ცოდნას გერმანულ ლიტერატურათმცოდნეობაში სინქრონულ პერსპექტივაში (სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი მოდული გულისხმობს: ლიტერატურათმცოდნეობის ცალკეული დარგებისა და მოვლენების თეორიული საფუძვლებისა და კვლევათა მეთოდოლოგიური თავისებურების გაცნობას, მათ შორისაა: ახალი გერმანულენოვანი ლიტერატურის საფუძვლები, გერმანულენოვანი ლირიკა, გერმანულენოვანი ლიტერატურის რეცეფცია საქართველოში, გერმანულენოვანი რომანი, დრამა, ლირიკა სხვ.);
- ეუფლება ლიტერატურათმცოდნეობის ძირითად მიმართულებებს და ლიტერატურული ჟანრების განვითარების ისტორიას, ეტაპობრივად ეცნობა (მიზნობრივად შერჩეული ლიტერატურული ტექსტის კითხვა) საპროგრამო ნაწარმოებებს;
- ეუფლება ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის მეთოდებსა და ინტერპრეტაციის ტექნიკებს (ლირიკის ანალიზი, გერმანული ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდები, გერმანულენოვანი ლიტერატურის რეცეფცია საქართველოში, ლიტერატურული ტექსტის ინტერპრეტაცია, გერმანულენოვანი ლირიკა/რომანი/დრამა, გერმანული კინემატოგრაფიის შედეგების ინტერმედიალური ანალიზი);
- სწავლობს ლიტერატურათმცოდნეობის წარსულის ზოგად დიაქრონულ სქემას და თანამდროვე ლიტერატურათმცოდნეობის მნიშვნელოვან საკითხებსა და თემატიკას (გერმანული მედიევსტიკა 1/2, ახალი გერმანულენოვანი ლიტერატურის საფუძვლები, გერმანულენოვანი ლიტერატურა 1/2);

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი მიღებული ცოდნის საფუძველზე იძენს შემდეგ პრაქტიკულ უნარებს:

- უცხო ენაზე: ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის განხორციელების, დისკუსიის წარმართვა დარგობრივ საკითხებზე და კონსტრუქციული გზით კრიტიკული შეხედულებების გამოხატვის;
- ავთენტური ტექსტების შერჩევისა და კითხვის;
- უცხო ენაზე ემპირიული მასალის, პრიმარული და სეკუნდარული ლიტერატურის მოძიების, შერჩევის, შეფასებისა და დალაგების, კვლევის შედეგების შეჯერების;
- ფილოლოგიური კვლევის სხვადასხვა მიმართულებების პრობლემებისა და მეთოდების გამოყენების;
- მოძიებული სამეცნიერო (სეკუნდარული) ლიტერატურის, დამუშავებისა და თარგმნა-კომენტირების;
- დისციპლინის მოთხოვნების შესაბამისად გერმანული ფილოლოგიის სფეროში კვლევითი ხასიათის ნაშრომის დაგეგმვის, ზეპირ და წერილობით ფორმაში ჩამოყალიბების და მიღებულ სტანდარტებში წარმოდგენის;
- შეძენილი ცოდნისა და კვლევის შედეგების პრეზენტაციის.

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი იღებს ზოგად და ტრანსფერულ უნარებს (ლინგვისტურ, მეთოდოლოგიურს, ტექნოლოგიურს, სოციალურსა და სისტემურს).

**ზოგადი უნარები:**

**კოგნიტური უნარები:**

1. ფილოლოგიური დარგების შესწავლა უშუალოდ გულისხმობს ტექსტით ოპერირებას და მანიპულაციას. შესაბამისად, სტუდენტი ეუფლება ტექსტში გადმოცემული მოღვაწეებისა და პროცესების კრიტიკულ გაცნობიერების, არგუმენტაციისა და შედეგების შეჯერების უნარს; სხვა კულტურულ და ნაციონალურ საფუძველზე წარმოქმნილი შეხედულებების გააზრებასა და პატივისცემას. სამეცნიერო დისკუსიაში მონაწილეობის; უცხო ენაზე პროდუცირებული ტექსტების ანალიზისა და სინთეზის; კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის ბაზის შექმნის; სამეცნიერო ტექსტის სახეობების ფორმირებისა და აუცილებლობის შემთხვევაში გამართულად თარგმნის;

ტრანსფერული უნარები აუცილებელია სტუდენტის უკეთ მოსამზადებლად საზოგადოებაში მისი მომავალი როლისთვის, რაც წარმატებულ მოქალაქედ ჩამოყალიბებისა და დასაქმების უკეთეს შესაძლებლობაში გამოიხატება:

სასწავლო პროგრამის ფარგლებში თითოეული დისციპლინა ეფუძნება გარკვეულ მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რაც უწინარეს ყოვლისა ითვალისწინებს სწავლის სტრატეგიისა და დროის მართებულად ორგანიზებას, აგრეთვე პრობლემის წამოჭრასა და მის გადაწყვეტას, საბაზისო დარგობრივი ცოდნის შეძენას მეთოდოლოგიური უნარის ჩამოყალიბება ხდება სწავლების პროცესში. მაგისტრანტი სწავლობს: ერთი მხრივ სწავლისა და სწავლების, ხოლო მეორე მხრივ კვლევის თითოეული საფეხურის სტრატეგიულ დაგეგმვას (დროის მართებული განაწილება ჯგუფური ან ინდივიდუალური პროექტებისა და პრეზენტაციებისას). მნიშვნელოვანია ტექსტზე მანიპულაციის მეთოდოლოგიისა და მისი კვლევის სტრატეგიის მართებულად შერჩევა, მისი თითოეული ეტაპის განხილვა, მომზადება და რეალიზება, ასევე ანალიზისა და ინტერპრეტაციის ყოველი საფეხურის გათვლა და ეტაპობრივი განხორციელება.

2. ტექნოლოგიური უნარების განვითარება მეტადრე მნიშვნელოვანია უცხო ენის შესწავლის პროცესში, სადაც დღეს უკვე სასწავლო პროცესში აუცილებელი ხდება მულტიმედიური ტექნოლოგიების ინტეგრირება. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე სასწავლო პროცესი და მასში მოაზრებული კვლევითი კომპონენტი თავის მხრივ აუცილებლად გულისხმობს:

- ტექნიკური საშუალებების (აუდიო, ვიდეო, დივიდი, კომპიუტერი, პროექტორი, ფოლიე, პოსტერი, დაფა) ჩართვას კვლევის შედეგებისა და სასწავლო მასალის აუდიტორიისათვის თვალსაჩინოდ მიწოდების მიზნით.
- თანამედროვე კვლევების შედეგად მიღებული სიახლეების სწრაფ ხელმისაწვდომობას და შესაბამისად ინტერნეტრესურსების აქტიურ გამოყენებას სასწავლო-კვლევით პროცესში;

3. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სასწავლო პროგრამის ფორმატში ღრმავდება ლინგვისტური უნარები:

- მშობლიურ ენაზე: წერილობითი კომუნიკაცია;
- ძირითად უცხო ენაზე: ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია;
- მეორე უცხო ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია;

4. უცხო ენის სწავლების თანამედროვე მეთოდების სიახლეთა ჯგუფში უპირველესად სოციალური უნარების გამომუშავება სახელდება. მაგისტრანტს უნვითარდება:

- როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მუშაობის უნარი.
- სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობა: დროის ფორმატის ზუსტი განსაზღვრა, პუნქტუალობა, პასუხისმგებლობა საკუთარ ნაშრომზე, წარმოდგენილი მასალის ნამდვილობა, სხვათა საავტორო უფლებების დაცვა (არა პლაგიატს), სხვათა აზრის გათვალისწინება და პატივისცემა, საკუთარი აზრის კორექტულად გამოხატვა, დისკუსიის წარმართვა ეთიკის ფარგლებში და სხვ.

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემისადმი წაყენებული სიახლეებში ადაპტაციისა და სასწავლო-კვლევითი პროცესის მობილურობის მიზნით მაგისტრანტს აუცილებელია განუვითარდეს სისტემური უნარები:

- დამოუკიდებელი სწავლისა და კვლევის;
- ჯგუფური მუშაობისა და კვლევითი პრობლემტიკის პროექტირების.

### გ) დასაქმების სფეროები:

უმაღლესი განათლება კარგი წინაპირობაა წარმატებული პროფესიული საქმიანობის დაწყებისათვის. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სასწავლო პროგრამა, რომელიც უმეტესწილად კვლევაზეა ორიენტირებული, კურსდამთავრებულთა მომავალი პროფესიული ორიენტაციისათვის მნიშვნელოვან სამეცნიერო საფუძვლებს, მეთოდურ კომპეტენციებსა და პროფესიაზე მიმართულ კვალიფიკაციებს აერთიანებს. სამაგისტრო პროგრამა ემსახურება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე მიღებული ზოგადი ფილოლოგიური კომპეტენციების დარგობრივად გაღრმავებას. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სრული კურსის დასრულების შემდეგ გერმანული ფილოლოგიის მაგისტრს საშუალება ეძლევა მონახოს შემდგომი დასაქმების სეგმენტი ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად. პროფესიულ და დარგობრივ ცოდნასთან ერთად მაგისტრანტი უმაღლესი განათლების მეორე საფეხდურზე სწავლის პროცესში იძენს დამატებით კვალიფიკაციებს, უნარებს, ცოდნასა და გამოცდილებას, რაც შემდგომში მას საშუალებას მისცემს მომავალი დამკირავებლის წინაშე წარმოაჩინოს არამარტო დარგობრივი ცოდნა და უნარ-ჩვევები. სწავლების პროცესში სავალდებულოა საკვანძო კვალიფიკაციათა შექმნა. კურსდამთავრებულები საქმდებიან ყველა იმ სფეროებში, სადაც ზოგადად მიმდინარეობს ვერბალური კომუნიკაცია. მათ შესწევთ ინფორმაციის მოპოვების, მისი დამუშავების, გარკვეულ დროის მონაკვეთში ვერბალიზაციისა და შესაბამისად, ამ უკანასკნელის ზეპირად ან წერილობით ფორმაში პრეზენტაციის უნარი.

აქედან გამომდინარე, იძენს რა კურსდამთავრებული სოციალურ, პროფესიულად სპეციფიკურ დარგობრივ კომპეტენციებს, მას შეუძლია დასაქმდეს შემდეგ სფეროებში:

- მეცნიერება და კვლევა – მეცნიერ-მუშაკი, (უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე სწავლა; კვლევითი ინსტიტუტები: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ლიტერატურის ინსტიტუტი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი);
- განათლება – რეფერენტი, მოხელე/ადმინისტრატორი (უმაღლესი სასწავლებლები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო);
- საგამომცემლო საქმე – კორექტორი, სტილისტი, ტექნიკური რედაქტორი (ყველა ტიპის გამომცემლობა);
- ჟურნალისტიკა – მოდერატორი, კორესპონდენტი, რედაქტორი (რადიოსა და ტელევიზიაში); კორექტორი და კორესპონდენტი (ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში);
- სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუციები – მდივან-რეფერენტი, მოხელე/ადმინისტრატორი;
- პოლიტიკა – საერთაშორისო ორგანიზაციები, დიპლომატიური კორპუსი, საერთაშორისო ფონდები და ორმხრივი პროექტები, საქართველოში მოქმედი გერმანული ინსტიტუციები – მდივან-რეფერენტი;
- კულტურის სფეროს კერძო და საჯარო სამსახურები – გამყოლი/მეგზური, მენეჯერი (მუზეუმები, საერთაშორისო გამოფენები და ფესტივალები);
- საზოგადოებასთან ურთიერთობა – რეფერენტი (რეკლამა, მარკეტინგი);
- ადმინისტრირება – მოხელე/ადმინისტრატორი, მენეჯერი;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა – რეფერენტად (არქივები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, არქეოლოგიური გათხრები და ა.შ.)

### სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა:

სწავლება სამაგისტრო პროგრამაზე იწყება მხოლოდ შემოდგომის სემესტრში.

სასწავლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შემუშავებულია საერთო საუნცივერსიტეტო შეთანხმების საფუძველზე. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის პროგრამაზე “გერმანული ფილოლოგია” დაიშვებიან პირები, რომელთაც

- გერმანულ ენაში აქვთ ენობრივი კომპეტენცია, რომელიც შეესაბამება ევროკომისიის მიერ შემუშავებული “საერთოევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს” სკალირების შესაბამის B<sup>2</sup>- C<sup>1</sup> დონეს.
- მიღებული აქვთ უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სასწავლო პროგრამის “გერმანული ფილოლოგია” ფარგლებში ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (საშუალოზე მაღალი აკადემიური მაჩვენებლით.) საქართველოში ან მის ფარგლებს მიღმა რომელიმე აღიარებულ უმაღლეს სასწავლებელში;

- დაგროვილი აქვთ უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე დამატებითი პროგრამის “გერმანული ფილოლოგია” ფარგლებში 60 კრედიტი: საქართველოს უმაღლესი განათლების კანონის მ.48, პ.4<sup>ე</sup> შესაბამისად ფართო პროფილის (ჰუმანიტარული – მაგ., ძირითადი პროგრამა: ქართული ფილოლოგია, თარგმანთმცოდნეობა, რუსული ფილოლოგია, ფილოსოფია და სოციალურმეცნიერებათა ფაკულტეტების კურსდამთავრებულნი – მაგ., ძირითადი პროგრამა ჟურნალისტიკა.) ბაკალავრები.
- უნდა შეასრულონ შემდეგი საკონკურსო პირობები: ზეპირი (გასაუბრება 30 წუთი) ან წერილობითი (გამოცდის ხანგრძლივობა 3 საათი) გამოცდა, რომელსაც იბარებს დარგობრივი კომისია
- უნდა ფლობდნენ ენობრივ კომპეტენციას ერთ-ერთ საერთაშორისო ევროპულ ენაში (ინგლისური, ფრანგული, იტალიური, ესპანური, რუსული), რომელიც შესაბამება ევროკომისიის მიერ შემუშავებული “საერთოევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს” სკალირების A<sup>2</sup>-დონეს.

საკონკურსო შერჩევის შედეგად უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე არდაშვების პირობებს დამატებით არეგულირებს საგამოცდო დებულება კომისიის მიერ შემუშავებული საგამოცდო კრიტერიუმების საფუძველზე.

სწავლის გაგრძელების საშუალება: სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ცოდნის გაღრმავებისა და შემდგომი სამეცნიერო საქმიანობის პერსპექტივის გათვალისწინებით სწავლის გაგრძელება სადოქტორო პროგრამაზე როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს მიღმა, თუ მის შერჩეულ სადოქტორო პროგრამას არა აქვს რაიმე მკაცრი წინაპირობა.

#### **სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა:**

პროგრამის შედგენისას ორიენტაციას ვიღებთ კლასიკურ გერმანისტულ განათლებაზე გერმანულენოვან ქვეყნებში განხორციელებული ინოვაციების გათვალისწინებით, რომლებიც ევალუაციის პროცესის შედეგია ევროპის მრავალ ქვეყანაში.

სამაგისტრო პროგრამის შედგენის დროს ვიხელმძღვანელებთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი ეროვნული კომპოტენციებითა და სტანდარტით. ასევე გერმანულენოვანი ქვეყნების რიგი აკადემიური და სასწავლო ინსტიტუციების მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით უმაღლესი სასწავლებლების საპროგრამო აკრედიტაციასთან დაკავშირებით და დარგში წარმატებული უმაღლესი სისწავლელების ანალოგიური პროგრამებით (იხ. გვ.3). შეირჩა დისციპლინები გერმანისტიკის ფუძემდებლური პრიორიტეტული საგნების, გერმანისტული ლინგვისტიკისა და გერმანული ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით.

ზემოთ მითითებული (იხ. ვებგვერდები 3 გვ.) უნივერსიტეტების აქტუალური სალექციო და სასემინარო კურსების შემოთავაზებებიდან შევარჩიეთ საგნების კომპლექსი გარკვეულწილად ქართული გერმანისტიკის ტრადიციების გათვალისწინებით.

სამაგისტრო სწავლება მოიცავს ორ ძირითად მოდულს: გერმანული ენათმეცნიერება, რომელიც ეყრდნობა ლინგვისტური დისციპლინების სწავლების თანამედროვე და იმავდროულად საყოველთაოდ მიღებულ კლასიკურ მოდელს და გერმანულ ლიტერატურათმცოდნეობას, რომელიც შედგება ძველი და ახალი გერმანულენოვანი ლიტერატურის სწავლებისა და კვლევისგან.

საგანთა შერჩევისას ვხელმძღვანელობდით კომპეტენციების ბმულობის პრინციპით: ყოველი ახალი დისციპლინა გულისხმობს წინარე ცოდნას, დაგროვებულს ბაკალავრიატში და შემდეგ მის ლოგიკურ გაგრძელებას, სირთულის თანდათანობით პროგრესირების დაცვით (სემესტრების მიხედვით, იხ. დანართი 3):

- გერმანული ფილოლოგიის შესავალი და გერმანული ენის გრამატიკის საფუძვლები წინაპირობაა გერმანისტული ლინგვისტიკის, კომპიუტერული ლინგვისტიკისა და სხვა კურსებისთვის მაგისტრატურაში.
- გერმანული ენის ისტორია – მედიევსტიკის ლიტერატურული კურსისთვის (მოდული ლიტერატურათმცოდნეობა) მაგისტრატურაში.
- გერმანული ენის ლექსიკოლოგია – სემანტიკის სამაგისტრო კურსისთვის.

- გერმანულენოვანი ტექსტის ლინგვისტიკის თეორიული სალექციო კურსი პრაქტიკული სემინარების თანხლებით საფუძველს წარმოადგენს ტექსტის ლინგვისტური ანალიზის, ტერმინოლოგია და დარგობრივი ტექსტის ლინგვისტიკის, ტექსტის სტილისტიკისა და ლინგვისტური პრაგმატიკის სამაგისტრო კურსებისთვის.

მაგისტრანტებს ეძლევათ საშუალება აირჩიონ სპეციალური კურსები როგორც გერმანული ენათმეცნიერების ასევე ლიტერატურათმცოდნეობის მოდულებიდან, ან საფაკულტეტო არჩევითი კურსებიდან როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური არჩევითობის პრინციპით და შესაბამისად, გაიღრმავონ და გაიფართოვონ კომპეტენციები არა მარტო სპეციალობაში, არამედ მთლიანად ფილოლოგიაში. ამაში მათ დაეხმარებათ შემოთავაზებული საერთო კომპეტენციის საგნები გერმანულსა და ქართულ ენებზე.

**სამაგისტრო ნაშრომი**

უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სასწავლო პროგრამის III სემესტრი გათვლილია კვლევით კომპონენტზე. მაგისტრანტები აქტიურად იწყებენ მუშაობას სამაგისტრო ნაშრომზე. სემესტრის განმავლობაში მოდულის ფარგლებში პერიოდულად ინიშნება სემინარი – ე.წ. მაგისტრანტების კოლოქვიუმი, რომელზეც მაგისტრანტები მონაცვლეობით წარმოადგენენ შესრულებულ სამუშაოს. სამაგისტრო ნაშრომების დაცვამდე ცხადდება ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები.

**შეფასების კრიტერიუმები**

<b>ნაშრომი</b>	<b>60 ქულა</b>
ნაშრომის ფორმალური მხარე (ტექსტის სახეობა აკადემიური ფორმატი)	15
ნაშრომის კომპოზიცია	15
ნაშრომის კვლევითი კომპონენტის ჩამოყალიბება	20
სრულყოფილი ენობრივი კომპეტენცია	10
<b>ნაშრომის ზეპირი პრეზენტაცია</b>	<b>40 ქულა</b>
პრეზენტაციის ვერბალური მხარე	30
ტექნიკური და ვიზუალური მხარე	10
<b>ნაშრომის საბოლოო შეფასება</b>	<b>100 ქულა</b>

სასწავლო კურსების სილაბუსები: იხ. სტუდენტურ ბაზაში

**კვლევითი კომპონენტი :**

სამეცნიერო თემატიკა, რომლის ფარგლებშიც მაგისტრანტს შეეძლება სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა, უნდა ეფუძნებოდეს სასწავლო დისციპლინების იმ დარგობრივი კომპეტენციების ბმულობას, რომელთა შეძენაც ხდება საბაკალავრო და სამაგისტრო დონეებზე. კომპეტენციათა ბმულობის ეს პრინციპი მიმდინარე რეფორმამდე გერმანული ფილოლოგიის დარგში დარღვეული იყო, რაც აისახებოდა სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ხარისხზე. მაგისტრანტთა კვლევითი პოტენციალი ვლინდება არამართო საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, არამედ მათ მიერ სემინარებზე წარმოდგენილ ცალკეული პრობლემატიკის შესწავლაში, რაც შემდგომში ასევე ასახვას პოულობს სამაგისტრო ნაშრომებში. მაგისტრანტებს სწავლის პროცესში საშუალება აქვთ საკვლევი თემატიკის

წარდგინების საფუძველზე მონაწილეობა მიიღონ სასტიპენდიო და საგრანტო კონკურსებში, რომელსაც ყოველწლიურად აცხადებს:

1. გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD)
2. ავსტრიის აკადემიური გაცვლის სამსახური (ÖAAD);
3. კათოლიკური აკადემიური სამსახური უცხოელთათვის (KAAD);
4. გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ინსტიტუტთაშორის პარტნიორობა გერმანისტიკის დარგში ჰაინრიხ ჰაინეს დიუსელდორფის უნივერსიტეტის გერმანისტიკის კათედრებთან (გერმანისტული ლინგვისტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა)
5. პარტნიორობა საუნივერსიტეტო დონეზე: ზაარლანდის, იენის, გისენისა და ბამბერგის უნივერსიტეტებთან.

**სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა**

მიმართულებაზე ამჟამად არის გარკვეული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც ამ ეტაპზე აკმაყოფილებს სასწავლო პროცესისთვის აუცილებელ მოთხოვნებს. ორი კომპიუტერი, ერთი ლეპტოპი, გერმანისტული ბიბლიოთეკის მდიდარი წიგნადი ფონდი, რომელიც პერიოდულად ახლდება გერმანიის შესაბამისი ინსტიტუციების დახმარებით (ბოლო განახლება 2010 წლის იანვარი) და სხვა საშუალებები. სამაგისტრო თემებზე მუშაობის დროს სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ აგრეთვე გამოიყენონ საჯარო, ჰუმბოლდტის, გოეთე-ინსტიტუტისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის თბილისის ბიუროს ბიბლიოთეკები, ისევე როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელთა პირად მფლობელობაში არსებული სამეცნიერო ლიტერატურა.

**სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა**

**გერმანული ფილოლოგია**

№	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	კრედიტების საერთო რაოდენობა
<b>საკომპეტენციო საგნები ორივე მოდულისათვის</b>			
1	გერმანისტული ლინგვისტიკა	სავალდებულო	5
2	გერმანულენოვანი ტექსტის სტილისტიკა (ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი ასპექტები)	სავალდებულო	5
3	ახალი და უახლესი გერმანული ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები	სავალდებულო	5
4	გერმანულენოვანი ლიტერატურის რეცეფცია საქართველოში	სავალდებულო	5
<b>მოდული გერმანული ენათმეცნიერება</b>			
1	გერმანული ენის ფონოლოგია	მოდულისათვის საკომპეტენციო	5
2	გერმანულენოვანი ტექსტის ლინგვისტური ანალიზი	მოდულისათვის საკომპეტენციო	5
3	სემიოტიკა (გერმანულენოვანი ტექსტების მასალაზე)	მოდულისათვის საკომპეტენციო	5
4	გერმანული ენის სემანტიკა	მოდულისათვის საკომპეტენციო	5
5	ლინგვისტური პრაგმატიკა (გერმანული ენის მასალაზე)	მოდულისათვის საკომპეტენციო	5
6	გერმანისტული სოციოლინგვისტიკა	მოდულისათვის საკომპეტენციო	5
7	კონტრასტული ლინგვისტიკა (გერმანული/ქართული)	მოდულისათვის საკომპეტენციო	5
8	ტერმინოლოგია და დარგობრივი ტექსტის ლინგვისტიკა (გერმანულენოვანი ტექსტების მასალაზე)	მოდულისათვის საკომპეტენციო	5
<b>მოდული გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა</b>			

1	გერმანული ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდები	სავალდებულო	5
2	გერმანულენოვანი რომანი	მოდულისათვის საკომპეტენციო	5
3	გერმანულენოვანი დრამა	მოდულისათვის საკომპეტენციო	5
4	გერმანულენოვანი ლირიკა	მოდულისათვის საკომპეტენციო	5
5	გერმანული მედიევისტკა 1	მოდულისათვის საკომპეტენციო	5
6	გერმანული მედიევისტკა 2	მოდულისათვის საკომპეტენციო	5
7	გერმანულენოვანი ლიტერატურის მნიშვნელოვანი პერიოდები 1 (სემინარი: თ. მანი და მ. ფრიში)	მოდულისათვის საკომპეტენციო	5
8	გერმანულენოვანი ლიტერატურის მნიშვნელოვანი პერიოდები 2	მოდულისათვის საკომპეტენციო	5
<b>არჩევითი საგნები გერმანული ენათმეცნიერების მოდულისათვის</b>			
1	კომპიუტერული ლინგვისტიკა 1	არჩევითი	5
2	კომპიუტერული ლინგვისტიკა 2	არჩევითი	5
3	სიტყვაწარმოების პრობლემები გერმანულ ენაში	არჩევითი	5
<b>არჩევითი საგნები გერმანული ლიტერატურათმცოდნეობის მოდულისათვის</b>			
1	გერმანულენოვანი ლიტერატურული ტექსტის ინტერპრეტაცია	არჩევითი	
2	ლიტერატურული ჟანრები (გ.აიხის ტექსტების მასალაზე)	არჩევითი	
3	გერმანული ლიტერატურისა და კინემატოგრაფიის შედეგების ინტერმედიალური ანალიზი	არჩევითი	
<b>არჩევითი საგნები ორივე მოდულისათვის</b>			
1	სამეცნიერო მუშაობის ტექნიკა	არჩევითი	
2	ფსიქოლინგვისტიკის თეორიები და მეთოდები გერმანულენოვან სივრცეში	არჩევითი	
3	ინგლისური ენა 1	არჩევითი	
	ინგლისური ენა 2	არჩევითი	
4	არჩევითი საგნები სხვა საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო კურიკულუმებიდან		
	სულ		<b>120</b>

## საგამოცდო საკითხები

### I. თეორიული გრამატიკა / Theoretische Grammatik

1. Wortarten. Die Zehn- Wortarten- Lehre der traditionellen Grammatik.
2. Valenzbegriff in der Grammatik. Valenz der Verben.
3. Operationale Verfahren in der Syntax: Der Permutationstest, der Substitutionstest, der Eliminierungstest

#### Literatur:

1. Metzler Lexikon Sprache. Hg. Von Helmut Glück. Stuttgart, Weimar 2000.
2. Linke, Angelika/ Nussbaumer, Markus/ Portmann, Paul R. Studienbuch Linguistik. Tübingen 2001.
3. Bußmann, Hadumod Lexikon der Sprachwissenschaft (Hrg.) Stuttgart. Alfred Kröner Verlag 2003.
4. Blumenrath, Thomas. Theoretische Grammatik. Jerewan 2003
5. ანდრაზაშვილი, მარინა: გერმანული ენის გრამატიკა ოთხ ტომად. თბილისი: თსუ, 2008.

### II. გერმანული ენის ლექსიკოლოგია / Lexikologie der deutschen Sprache

1. Objekt, Gegenstände und Teildisziplinen der Lexikologie. Definitionen von angelagerten Disziplinen: Lexikographie, Semasiologie, Onomasiologie und Onomastik.
- 2.a) Bilaterale und trilaterale Zeichenmodelle.
  - b) Semantische Beziehungen zwischen den Wörtern.

c) Wortfelder, Wortfamilien.

3. Das Bedeutungsproblem. Lexikalische vs. kompositionelle Bedeutung/Wortbedeutung vs. Satzbedeutung. Bedeutungsbeschreibung.

**Literatur:**

1. Metzler Lexikon Sprache. Hg. Von Helmut Glück. Stuttgart, Weimar 2000.
2. Bußmann, Hadumod Lexikon der Sprachwissenschaft (Hrg.) Stuttgart. Alfred Kröner Verlag 2003.
3. Römer,Christine; Matzke, Brigitte: Lexikologie des Deutschen. Eine Einführung. 2.Auflage, Tübingen: Narr. 2005.
4. Kunze, Konrad: Namenkunde. Vor- und Familienamenim deutschen Sprachgebiet. dtv-AtlasNr.3234, München: deutscher Taschenbuch Verlag. 1999.
5. Lutzeier, Peter Rolf: Lexikologie. Ein Arbeitsbuch, 1.Auflage. Tübingen: Stauffenburg Verlag. 2007.
6. Schlaefer, Michael: Lexikologie und Lexikographie. Eine Einführung am Beispiel deutscher Wörterbücher. Grundlagen der Germanistik, Nr.40, Berlin: Erich Schmidt Verlag. 2002.
7. Busch, Albert; Stenschke, Oliver: Germanistische Linguistik. Eine Einführung. Tübingen. Narr Francke Attempo Verlag. 2007.

**III შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში / Einführung in die Textlinguistik**

1. Der Text als Forschungsgegenstand. Zum Textbegriff;
2. Ein prozedurales Textbeschreibungsmodell (Modell der Textproduktion)
3. Textinterpretation

**Literatur:**

1. Adamzik K. (2004): Textlinguistik. Eine einführende Darstellung. Niemeyer. Tübingen;
2. Brinker K. (1988): Linguistische Textanalyse. Eine Einführung in Grundbegriffe und Methoden.2.Auflage. Erich Schmidt. Berlin;
3. Heinemann W., Viehweger D. (1994): Textlinguistik: eine Einführung. RGL 115. Max Niemayer.Tübingen;
4. Linke A., Nussbaumer M., Portmann P.R. (1994): Studienbuch Linguistik. 2. Aufl., Max Niemayer.Tübingen;

**მოდული – გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა შუა საუკუნეები და რენესანსი**

1. საკარო მწერლობა

(ვოლფრამ ფონ ეშენბახის “პარციფალი”, გოტფრიდ ფონ შტრასბურგის “ტრისტანი და იზოლდა”)

Helmut de Boor, Die höfische Literatur. Vorbereitung, Blüte, Ausklang 1170-1250 (Helmut de Boor

/Richard Newald, Geschichte der deutschen Literatur, Von den Anfängen bis zur Gegenwart, Bd.

2),München 1966.

2. საკარო ლირიკა: მინეზანგი (ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდე)

Helmut de Boor, Die höfische Literatur. Vorbereitung, Blüte, Ausklang 1170-1250 (Helmut de Boor /Richard

Newald, Geschichte der deutschen Literatur, Von den Anfängen bis zur Gegenwart, Bd. 2),München 1966.

3. რენესანსი და რეფორმაცია (იოჰანეს როიხლინი, ერაზმუს როტერდამელი) Hans Rupprich, Vom Mittelalter

bis zum Barock, Erster Teil. Das ausgehende Mittelalter, Humanismus und Renaissance, 1370-1520 (Helmut de Boor

/ Richard Newald,Geschichte der deutschen Literatur, Von den Anfängen bis zur Gegenwart, Bd. 4 / 1), München

1970.

**ბაროკო და კლასიკა**

1. განმანათლებლობიდან „ქარიშხალი და შეტევა“-მდე Fritz Martini, Deutsche Literaturgeschichte. Von den Anfängen bis zur Gegenwart, Stuttgart 1991.

2. გოეთე Fritz Martini, Deutsche Literaturgeschichte. Von den Anfängen bis zur Gegenwart, Stuttgart 1991.

3. შილერი Fritz Martini, Deutsche Literaturgeschichte. Von den Anfängen bis zur Gegenwart, Stuttgart 1991.

**XIX საუკუნე**

1. ლუდვიგ ტიკი Fritz Martini, Deutsche Literaturgeschichte. Von den Anfängen bis zur Gegenwart, Stuttgart 1991.

Kindlers Neues Literatur Lexikon, Bd. 16, München 1998.

2. ნოვალისი Fritz Martini, Deutsche Literaturgeschichte. Von den Anfängen bis zur Gegenwart, Stuttgart 1991.

Kindlers Neues Literatur Lexikon, Bd. 12, München 1998.

3. ჰაინრიხ ფონ კლაისტი Fritz Martini, Deutsche Literaturgeschichte. Von den Anfängen bis zur Gegenwart, Stuttgart 1991. Kindlers Neues Literatur Lexikon, Bd. 9, München 1998.

### **XX საუკუნე**

1. ნატურალიზმიდან პირველ მსოფლიო ომამდე და ექსპრესიონიზმიდან 1945 წლამდე Fritz Martini, Deutsche Literaturgeschichte. Von den Anfängen bis zur Gegenwart, Stuttgart 1991.

2. თომას მანი Thomas-Mann-Handbuch, hrsg. v. Helmut Koopmann, Regensburg 2001. Thomas Mann und die literarische Tradition Thomas Mann und die deutsche Literatur seiner Zeit Der Zauberberg

3. ჰერმან ჰესე Hermann Hesse, Der Steppenwolf, Frankfurt am Main / Berlin 1978. Kindlers Neues Literatur Lexikon, Bd. 7, München 1998.

### **ლიტერატურა**

1. Beutin, W.: Deutsche Literaturgeschichte. Von den Anfängen bis zur Gegenwart. Stuttgart; Weimar: Metzler, 1994

2. Rothmann, Kurt: Kleine Geschichte der deutschen Literatur. Stuttgart:Reclam, 2003

3. Schnell, Ralf.: Geschichte der deutschsprachigen Literatur seit 1945. Stuttgart; Weimar: Metzler, 1993

4. Sørensen, Bengt Algot (Hg.): Geschichte der deutschen Literatur Bd. 1-2. – 2. akt. Aufl. – München: Beck, 1997, 2002

5. Kindlers Literaturlexikon, München 1992.

### **მითითებები ლიტერატურის მოძიებისთვის:**

საგამოცდო საკითხების მოსამზადებლად (ორივე მოდულში) შესაძლებელია გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტში არსებული უახლესი გერმანული სამეცნიერო ლიტერატურის (მათ შორის ლექსიკონების) და სპეციალურად გამოცდისთვის შედგენილი რიდერის გამოყენება. მიმართეთ დეპარტამენტის ასისტენტს ქეთევან შეყილაძეს 9 – 18 სთ-მდე ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა

დამხმარე სახელმძღვანელოების სია ქართულ ენაზე იხ. რიდერში. მათი მოძიება შესაძლებელია საუნივერსიტეტო და საჯარო ბიბლიოთეკებში.

მისაღები გამოცდის ფორმატი გერმანული ფილოლოგიის სპეციალობით მისაღები გამოცდის ფორმატი -

წერა ითვალისწინებს სპეციალიზაციას ორ მოდულად: გერმანული ენათმეცნიერება და

ლიტერატურათმცოდნეობა. საგამოცდო ბილეთის ოთხივე საკითხი უნდა შესრულდეს წერით ფორმაში.

გერმანული ენათმეცნიერების მოდულში გამოცდა ჩატარდება-გერმანულ ენაზე. გერმანულ

ლიტერატურათმცოდნეობაში - ქართულ ენაზე.

შეფასების კრიტერიუმები: გამოცდა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. მაგისტრატურაში ჩარიცხვისათვის აუცილებელი წინაპირობაა მინიმუმ 60 ქულა. ნაწერი ფასდება სამი კრიტერიუმით:

- დარგობრივი კომპეტენცია
- ენობრივი კომპეტენცია
- კრეატიულობა

### **მაგისტრატურაში შემსვლელს ევალება:**

- წერილობით პასუხი გასცეს ორ საკითხზე ლინგვისტიკაში (გერმანულ ენაზე)
- ორ საკითხზე გერმანული ლიტერატურის ისტორიის ზოგადი კურსიდან (გერმანულ ან ქართულ ენაზე)